№ 120 ივნისი 16, სამშაბათი 1887 ივნისი 16, სამშაბათი № 120

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

**შინაარსი:** ტფილისი, 15 ივნისი.—**ახალი ამბები:** ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებულთა რიცხვი. ახალის რკინის გზის პროექტი. სამხედრო ბეგრის გადახდის შეღავათი. გაზ. „ახალ მიმოხილვის“ სხვის ხელში გადასვლაზე. სოფ. რუისში ქურდობა გავრცელებულა. ქართლში ქერისა და პურის გაჭრაზედ. ქ-ნ ბ—ნის თავის მოწამლვა. წყალში ჩავარდნილთა დამხსნელი სადგურები. პურის მოედანზე ქვა-ღორღია დაყრილი.—**ნარკვევი.**—უცხოეთი.—გასართობი.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** ცხრა-წვენა, დ. მაჩხანელისა.

ტფილისი, 15 ივნისი

აღმოსავლეთ საქართველოში ბევრია იმისთანა ადგილები, სადაც სახნავ-სათესი მიწები ისე ნაკლებად არის, რომ კაცი მიწის მუშაობით საცხოვრებელს ვერ იშოვნის. ამისთანა ადგილებია, მაგალითად, ჩვენს მთებში, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც უშველებელ კლდე-ღრეებში აქა-იქ თუ შეჰხვდებით თითო ბოხჩა ადგილებს, სახნავ-სათესად გამოსადეგს და გამოსარჩომსა. ბ-ნი მ. მაჩაბელი თავის გამოკვლევაში—«Матеріалы для изученія экон. быта государственныхъ крестьянъ, т. V стр. 256»—ამბობს, რომ თიონეთის მაზრაში ისეთი ადგილებია, სადაც ოცთხმოციოდე დესეტინა სახნავი მიწა გაფანტულია რამდენისამე ათის ვერსტის მანძილზე, მთებსა და კლდე-ღრეებს შორისაო. ასე გაფანტული სახნავ-სათესი მიწა, რასაკვირველია, არაფერი განძია, პურს ვერ აჭმევს, ვერ გამოჰკვებს მთელს მაზრას. ხვნა-თესვით აქ კაცი ვერას გახდება, მიწის ნაწარმოები ცხოვრების საზდოს ვერ მისცემს, მაშასადამე, აქ კაცმა სხვა წყაროს უნდა მიჰმართოს ცხოვრების მოსაპოებლად. ასეთს წყაროს თვით იქაური ბუნება უჩვენებს. მთებში მშვენიერი საძოვრები, იალაღებია, რომელიც ხელს უწყობს საქონლის მოშენებასა. ამიტომ ამ ადგილებში ხალხი საქონლის მოშენებას, მეტადრე ცხვრისას, მისდევს და ეს შეადგენს ერთს უმთავრესს წყაროს იქაურ გლეხის კეთილ-დღეობისას. მაგრამ საქონლის მოშენება ადვილი საქმე არ არის, საქონელს მუდამ უკან დევნა და ერთის ადგილიდამ მეორეში გადაყვან-გადმოყვანა უნდა. მთებში ზამთარი ადრე იწყება, 6—7-ის თთვის განმავლობაში თოვლი სძევს,—საქონლის შენახვა აქ აღარ შეიძლება და პატრონმა ბარში უნდა ჩამოიყვანოს. და აი საქონლის პატრონს მთელს ზამთარს შირაქის მინდვრებში, ივრის ხეობაზე და სხვა ადგილებში გამოჰყავს საქონელი. დადგება ზაფხული, სიცხეებში საქონელი ბარს ველარ აიტანს და პატრონმა ხელ-ახლად ისევ უნდა მთაში გარეკოს საქონელი. თუშ-ფშავ-ხევსურები თავიანთ მთებშიაც ცოტაოდნად იოლად მიდიოდნენ, მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაც საძოვარი ადგილები ძრიელ შეცოტავდა, და ამიტომ ყარსის, დაღესტნის მთებისკენ, თრიალეთსა და უკანასკნელ ხნეებში ვლადიკავკავისკენაც დაიწყეს საქონლის გარეკვა საზაფხულოდ.

ამ სახით, საქონლის პატრონი წელიწადში ორჯელ მთებიდგან ბარში უნდა გაემგზავროს და ბარიდამ მთებში. და რადგან ჩვენში ხეირიანი გზები არსად არის და თუ არის, ხეირიან რიგსა და წესს ძნელად შეჰხვდებით ამ გზებზე, ამიტომ ძრიელ დიდს შეწუხებას ივლის ამ გადასვლა-გადმოსვლაში როგორც საქონლის პატრონი, ისე თვით საქონელიც.

დღეს ნებას არავინ მისცემს, რომ მის მამულში საქონელი შეჰრეკოს და უფულოდ აძოვოს. უწინდელი შარა-გზებიც ბევრს ადგილას გზა-ტკეცილებად გადაკეთდა, სადაც საბაქოებია დაწესებული და უბაჟოდ არავის ატარებენ. სადაც ჯერ გზა-ტკეცილები არ არის, სოფლებს და კერძო მემამულეთ დაუჩემებიათ გზები და გზად მიმავალს საქონელს უმახტოდ არ აძოვებინებენ. ბ-ნი ს. მაჩაბელი ამბობს, რომ მარტო ტფილისის მაზრაში 19 სოფელი საძოვარში და გზაზედ გავლაში წელიწადში 7,250 მანათს იღებსო.

ამ უკანასკნელს წლებში დიდძალი საქონელი და მეტადრე ცხვარი მიუდით ყარსისკენ თუშ-ფშავ-ხევსურეთ-კახეთიდგან ყოველს ზაფხულსა. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ეს საქონელი გზა-ტკეცილებზე გაეტარებინათ, მაგრამ ამ გზებზე იმოდენა ბაჟია დაწესებული, რომ ცხვრის პატრონი ვერ აუვა ამ გადასახადსა. მაგალითად, კახეთიდამ მომავალ ცხვარზე პატრონმა მანგლისის გზა-ტკეცილზე, 60 ვერსტის მანძილისა, უნდა გადიხადოს ას ცხვარში 3 მანათი; კახეთის სახელმწიფო გზაზე ამაზე უფრო მეტი გადასახადი ერთმევათ. გარდა ამისა მახტა დაწესებულია ივრის, მტკვრის, ქალაქში და ალგეთის ხიდზე ასე რომ, მარტო კახეთიდამ მანგლისამდე ასის ცხვრის გადალალვა ბარიდამ მთაში 10—12-მდე უჯდება, ანუ თითო შუათანა ცხვრის-ფარის პატრონს მარტო გზა უჯდება ოც თუმნამდე. ვინც-კი იცის, რა შემოსავალი მოაქვს ცხვარსა, ის ადვილად მიჰხვდება, რომ ამოდენა ხარჯს ვერ აუვა საქონლის პატრონი. სწორედ ამ მიზეზის გამოც საქონლის პატრონი ერიდება დიდს გზებსა, და უგზო-უკვლოდ, ტყე-ღრეებზე, კერძო მემამულეების მიწა-წყალზე მიუდის საქონელი. წინად საქონლის პატრონს ხმას არავინა სცემდა, მაგრამ დღეს, როცა მამულის პატრონებმაც ანგარიში ისწავლეს, საქონლის პატრონებს ხელი მოუჭირეს და უსასყიდლოდ თავიანთ მიწა-წყალზე აღარავის ატარებენ. თითქმის ყველას, ვის მამულზედაც საქონელმა უნდა გაიაროს, მეველეები უჭირავთ და საქონელს გზას უკრავენ, ან, თუ გზას მისცემენ, გარდასახადს ართმევენ. თუმცა არიან ისეთი მამულის პატრონები, რომელნიც უწესოებას სჩადიან და უსამართლოდ ექცევიან საქონლის პატრონს, მაგრამ, რასაკვირველია, ბევრნი ისეთიც არიან, რომელთაც ვერ გავამტყუნებთ, რომ საქონელს გზას არ აძლევდნენ თავიანთ მიწა-წყალზე: საქონელი ხშირად ნათესებში გადადის და მოსავალს ახდენს. ამ შემთხვევაში, საქონლის პატრონს უფრო მეტს გარდასახადს ართმევენ. ასეთ გარდასახადის გამორთმევა-კი უჩხუბოდ და უდავიდარაბოდ არ ჩაივლის ხოლმე. ამიტომ ზაფხულში, დაიძვრება თუ არა საქონელი ბარიდამ მთებში წასასვლელად, წამ-და-უწუმ გვესმის, ამადა-ამ ადგილას ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა და ხშირად კაცის-კვლაც მოხდაო. კერძო მემამულეების გარდა საქონლის პატრონებს ჩხუბს უმართავენ სოფლელებიც, რომელთ მამულებზე საქონელი გაივლის ხოლმე. მეტადრე დიდს შეწუხებას ივლიან საქონლის პატრონები მანგლისის ახლო-მახლო სოფლებისაგან, რომელნიც გზებს ჩემულობენ და საქონლის პატრონებისაგან გარდასახადს თხოულობენ.

ასეთი უწესოება დიდს შეწუხებას აყენებს და ზარალსაც ბევრს აძლევს საქონლის პატრონს. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ ამ საქმისთვის და გზა-ტკეცილებზე დაწესებული ბაჟი გზად მიმავალ საქონელზე სრულიად გადაეგდოთ; ან თუ ეს არ შეიძლება, ცოტად მაინც შეემსუბუქებინათ ეს გარდასახადი და ამით შეღავათი მიეცათ საქონლის პატრონებისთვის. აგრეთვე ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთხელვე გარდაწყვეტილიყო და ყველას სცოდნოდა,—აქვთ ნება სოფლებს დაიჩემონ ის გზები, რომელიც იმათ ახლო მიდის, და მახტა აიღონ გზად მიმავალ საქონელზე, თუ არა ამით საქონლის პატრონსაც შეღავათი მიეცემა, რომ თავის საქმე უკეთესად წაიყვანოს, და ბევრს უწესოებას, კაცის-კვლასაც ბოლო მოეღება.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში წელს 27 ყმაწვილ-კაცს დაუმთავრებია კურსი; უმრავლესობა ქართველები არიან. თავი ისახელეს: ზაა-

## ფელეტონი

### ცხრა-წვენა*)

### V

აი ეხლა რა უნდა მოგახსენოთ, ბიძაჩემო. ამას წინად ყანების მარგვლა გავათავეთ და კვირა დილით, მზის ამოსვლისას, შინ მოვედით. დედამ კაი საუზმე დაგვახვედრა და ლაზათიანადაც ვისაუზმეთ. მუშებში დედაკაცებიც იყვნენ, კაცებიც და ბიჭებიც. ალაგდა სუფრა. ავდექ, ავილე წიგნები და გამოსვლას ვაპირებდი, როცა მუშებმა შემაყენეს და მითხრეს: „ბიჭო, მოუსვენარო, ეხლა სადღა მიეთრევი ე დაღალულ-დაწყვეტილი და თვალს არ მოატყუებო“. სად მივეთრევი და დღეისათვინ ხალხს დავპირდი: ვისაც გინდათ ჯომარდიძიაანთ კაკლებას გრილოს მწვანეზე თავი მოიყარეთ და კაი რასმე წაგიკითხავთ-მეთქი. „ბიჭო და, რატო ჩვენ კი არა გვითხარ რაო“. მართლაც და დახეთ ჩემ გადაოგნებას, ეს როდი-ღა მომივიდა ფიქრში. ჩვენი მუშები მთლად ჩემთან წამოვიდნენ, გარდა ერთის მანდილოსნისა, რომელმაც მითხრა: „გავიქცევი ძუძუთას მივხედავ და თუ უჩემოდ წაგიკითხავ, ვაი შენის ტყავის ბრალიო“. მე იმედი მივე.

მივედით კაკლებში და იმოდენა ხალხი შეყრილიყო, რომ გამიკვირდა. იმათ ში დროული მანდილოსნებიც იყვნენ, პატარძლებიც, ქალებიც, მოხუცი კაცებიც, ვაჟ-კაცებიც და ბიჭებიც. როცა ხალხს ქუდი მოვუხადე და გამარჯობა ვუთხარ, მთლად აჟაჟანდნენ ჩემს დანახვაზე სიხარულით. ზოგნი მეძახოდნენ: „ჰაი გენაცვალე მა ქრისტეში, რო შენ პირს არ გადახვალ ხოლმეო“, ზოგნი: „საწყალი ჩვენი ტიტა სამარგელს დაუქანცავ და პატარა ჩოკინასავით ყურები ჩამოუყრიაო“, ზოგნი: „ვეთაყვანე ჩვენ ტიტი-გვრიტას, ეხლა კი გაჰხსნის ი რაღაცა კარაბადინს, აჰიკჰიკდება და სუყველანი-კი კურდღელივით სულს გავინაბავთო“, ზოგნი რასა და ზოგნი რას. მეც რაღაცებსა ვლაჯუნობდი და ვაცინებდი ხალხს, ამასობაში ჩვენი მუშა-ფეფუციც მოვიდა.

„აბა გეთაყვანე, ეხლა ერთი ქრისტიანული რამ წაგვიკითხეო“, დაიძახა სოსანა საბრალოშვილმა და დაუმატა: „მოდი ჩვენ ყველანი მწვანეზე დავსხდებით და შენ პირ-და-პირ დაგვიდექო“. „ბატონი ხართ“-მეთქი და ათქოთქოლდა ხალხი დასასხდომად. დასხდნენ ყველანი და იგეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მარტო ბუზების ზუზუნი-ღა ისმოდა. დავდექ მეც ხალხის პირ-და-პირ, როგორც სოსანამ დამარიგა, და გადავხსენ «ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ» (ი. ჭავჭავაძისა), მაგრამ ჯერ ცოტა ჩავფიქრდი, გავიმჰვალე ზაქროსა და კაკოს სევდა-ნაღველით, აეინთე იმათისავე ცეცხლით გული და ავჰიკჰიკდი. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, თუ კი კვეხნაში არ ჩამომართმევთ, ისე ხელოვნურადაც წავიკითხე ის დიდებულად და გულის საკვლელად გასურათებული ქმნილება, რო გეგონებოდათ ეს სალვინი ან როსი თუ იქნება, თორემ ვინ ნაცარქექია ღა ვინ ესეთი მაღალი არტისტული და ჰარმონიის ხმით კითხვაო.

გავათავე კითხვა. შევხედე ხალხს და ვნახე, რომ ზოგნი დაღვრემილიყვნენ და ზოგნი იცრემლებოდნენ. სწორე მოგახსენოთ, ეს მე ძალიან მესიამოვნა და გავიფიქრე: „დიდება შენდა უფალო, ვის გულს არ აამღერებენ ხოლმე კურთხეულის პოეზიის ზეციური ნაპერწკლები“-მეთქი. მაგრამ ესაც უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც ბევრგან სხვაგანაც მინახავ, გლეხს უფრო ჩვილი გული აქვს ამისთანა საქმეებში. მახსოვს აგრეთვე: ერთხელ „ალექსიანი“ და „სურამის ციხე“ წავიკითხე და მსმენელნი ცრემლად იღვრებოდნენ. «საწყალ ზაქროს ან კი სხვა რა გზა ჰქონდა იმ ულმერთო ბატონის ხელშიო», გაისმოდა ხალხში წუწუნი.

„აბა ახლა სხვა რამ წაგვიკითხე, შენი ჭირიმე, სხვაო“, იძახდა ხალხი. წაკითხვაზე-კი არ დაგზარდებით, მაგრამ პატა გძელია რის წაკითხვაც ეხლა მე მწადიან და ვაი თუ შიმშილმა შეგაწუხოთ და ხელიდამ გამისხლტეთ“-მეთქი. „რას ამბობ, ბიჭო, შენ ე მეტი რაკუნი რატო იცი, ჩვენ ყველანი შენაყრებული ვართ, თაქ შენ წაგვიკითხე კიდევ რამე და გინდ ღამესაც აქ გავათევთო.“ ამ სიტყვებით გახალისებულმა გულიანად გადავშალე „გლახის ნაამბობი“ (ი. ჭავჭავაძისა) და ავბულბულდი.

ღმერთო ჩემო, მიკვირდა და გამკვირებია, თუ რა მოწყურებულის და გულიანის ყურადღებით ისმენდა ხალხი „გლახის ნაამბობს“. სამხრობა იქნებოდა, როცა კითხვა გავათავე, შევხედე ხალხს და ეხლა სულ სხვა სურათი წარმომიდგა: მართალია ბევრნი დაღრემილიყვნენ, ბევრნიც იცრემლებოდნენ, მაგრამ ყველაზე ბევრნი-კი ქვითინებდნენ და ისე მწარედაცა ქვითინებდნენ, რომ კაცს გული მოუკვდებოდა. ყველაზე მომეტებულად-კი პატარძლები და მოხუცები იწყვეტა-

*) იხ. ივერია № 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიშვილმა და ხრამელაშვილმა. პირველი დააჯილდოვეს ოქროს მენდლით და მეორე—ვერცხლის მენდლითა.

*** რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ უმაღლესი მთავრობა ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს ახალის რკინის გზის გაყვანის გამო. ეს რკინის გზა გაკეთდება ტფილისსა და ვლადიკავკაზის შუა და კავკასიის მთაზე გადაივლისო. ამ ახალის გზის სიგრძე პოლკოვნიკის კრინიცკის ანგარიშით იქნება 184 ვერსტზე ცოტა მეტი და გზის გაკეთება 18½ მილლიონი დაჯდებაო. ერთს ადგილას, სახაკის ღელეს ულელ-ტეხილში, დიდი გვირაბი იქნება გაკეთებული, სიგრძით 4½ ვერსტამდეო.

*** 28 მაისის 1886 წ. კანონის ძალით სამხედრო ბეგარის გადახდის გამო იმ ადგილებში, სადაც საქონლის მოშენება არის გავრცელებული და უმთავრეს წყაროს შეადგენს გლეხთა კეთილ-დღეობისას, სამხედრო ბეგარა ერთის წლის შემდეგ იქნება შემოღებული. ჯერ-კი აქამომდე არ იციან, თუ რომელი ადგილები კავკასიისა ჩასთვალონ ამ გვარ ადგილებად და აგრეთვე რამდენი საქონელი უნდა ჰყავდეს გლეხის ოჯახობას, რომ ის კიდევ ერთის წლით სამხედრო ბეგარიდამ ამოშვებულ იქმნას. ამ საგანზედ მთავარ-მართებელის საბჭოში 15 ივნისს წაკითხული იქნება მოხსენება და გადასწყდება, რომელ ადგილების მცხოვრებლებს მიენიჭოთ ასეთი შეღავათი.

*** ტფილისში დღეს საზოგადოება ბევრსა ლაპარაკობს იმაზე, თუ ვის ხელში ჩავარდება გაზეთი „ახალი მიმოხილვა“-ო. მართლაც საინტერესო ამბავია ეს გარემოება და სანატრელიც არის, რომ ეს რუსული გაზეთი ჩაუვარდეს ხელში ისეთს კაცსა, რომელსაც შეეძლოს მიუდგომლად ემსახუროს კავკასიას, მის დღიურ ცხოვრებასა და საჭიროებას. როგორც შევიტყეთ, ეს საქმე უნდა გარდასწყდეს ან დღეს და ან ხვალ. წინადვე ვერას ვიტყვით გაზეთის სამერმისო ბედზე, გარდა იმისა, რომ უკეთუ გაზეთს ექნება სიცოცხლე და თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის ქვეყნის დღიურს ვარამს, მაშინ იგი უეჭველია გარდაიქცევა საკითხავ გაზეთად არა მარტო ყოველ კავკასიელ ინტელიგენტისათვის, არამედ რუსეთშიაც ბევრი გამოუჩნდება მკითხველი, რადგან კავკასია ისეთი დალოცვილი კუთხეა რუსეთის იმპერიისა, რომ ყველას უნდა მისი გარემოება დაახლოვებით იცოდეს. საუბედუროდ, აქამდის ჯერ თითქმის არა ყოფილა ჩვენში ასეთი რუსული გაზეთი. ვისურვებთ, რომ „ახალი მიმოხილვა“ ისეთს გარემოებაში ჩავარდნილიყოს, რომ მართლა და საინტერესო ადგილობრივ გაზეთად გარდაიქცეს.

*** სოფ. რუისიდამ გვწერენ, რომ ჩვენში ამ ცოტას ხანში რამდენიმე ქურდობა მოხდაო. ერთხელ მოჰპარეს გლეხს ღვინო მარნიდამ. მეორედ ქათმები დაიპარეს ქურდებმა და მესამედ კიდევ მზად დახერხილი ფიცრებიო. ამ ქურდობის გამო საქმე შესდგა, მამასახლისმა ოქმი შეაყენა და გაჰგზავნა, სადაც ჯერ არს. იმედი აქვთ, რომ ქურდობა დამტკიცდება, ქურდები აღმოჩნდებიან და დაისჯებიანო.

*** ქართლიდამ გვწერენ, რომ გორს ზემოდ ამ ერთს კვირაში ქერები გაიჭრება და ორის კვირის შემდეგ ყანების მკასაც მიჰყობენ ხელსაო. თუ სიცივეები დაიწყო, ყანებში ნამგალი ვერ შევა თიბათთვის გასულსაცა და ერთი კვირა მკათათვისა ჩამოვა მაინცაო.

*** ამ დღეებში ჩვენ გვიამბეს ერთი დიდად სამწუხარო ამბავი. რამდენისამე წლის წინად ახალგაზდა ქალი ბ-ნისა მისთხოვებია ახალგაზდა ყმაწვილ კაცს, მაგრამ დიდ-ხანს ერთად ვერ უცხოვრიათ. რადგან ერთმანეთ შორის უსიამოვნობა ჩამოვარდნიათ, ცოლ-ქმარნი გაყრილან. ქ—ნი ბ-ნისა თავის დედ-მამასთან გადასულა საცხოვრებლად. რამდენისამე ხნის შემდეგ ამ ქალს დედ-მამა გადასცვლია და დარჩომილა მარტოდ და სულ უნუგეშოდ. ახლო ნათესავი და გულშემატკივარი თურმე ალარავინ არ დარჩომია და დარდისა და მწუხარების გამო წარსულ კვირაში ამ ქალს დაუპირებია თავის მოკვლა და საწამლავი დაულევია. მეზობლებს შეუტყვია თუ არა, მაშინადვე მიშველებიან, ექიმი მიუწვევიათ და ქალი მოუბრუნებიათ.

*** წყალში გადავარდნილთა დამხსნელი საზოგადოება დაარსებს ამ ივნისის 15-დამ 1 სექტემბრამდე წყალში ჩავარდნილთა ორს დამხსნელს სადგურს. ეს სადგურები იმიტომ არსდება, რომ მობანავეთ უბედურება არა შეემთხვათ-რა ხოლმეო. ერთი სადგური იქნება გამართული სემიონოვის წყლის დალმართთან და მეორე ვერის ხიდის ზემოდ, სადაც ახლა ნავი მუშაობს. დილიდამ დაწყებული ვიდრე სალამოს ცხრა საათამდე ამ ადგილებში გამოცდილი მცურაველები იქნებიან დაყენებულნი ყარაულად, ყველას ნიშნად ექნებათ თეთრი ბაირაღი და ზედ მწვანე ლუზა იქნება დახატული. ამას გარდა კიდევ ორი სხვა სადგური იქნება გამართული.

*** პურის მეიდანზე ამ რამდენისამე კვირის წინად წყლის მილების გამო ქვა-ფენილი დააქციეს და მიწა ამოიღეს. მილებიც დიდი ხანია დააწყეს, მაგრამ აქამომდე მეტი მიწა და ამოყრილი ქვა-ღორღი ისევა ჰყრია და სიარულს უშლის ხალხსა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა სამინისტრო ანგარიში რუსეთის რკინის გზების შესავალ-გასავალზე 1886 წლის განმავლობაში. ანგარიშიდამა სჩანს, რომ თითო ვერსტზე წელიწადში რკინის გზას უძლევია 9,113 მან., ერთი-ერთმანეთზედ რომ ვიანგარიშოთ.

ასეთი მცირე შემოსავალი სრულიადაც არ წარმოადგენს განსაკუთრებითს მოვლენასაო, ამბობს გაზ. „Рус. Вѣд.“-ი. არა, ასეთი მიმართულება დასჩემდა ჩვენს გზებს წლითი-წლობით უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში. 1880 წლიდამ მოკიდებული ვიდრე 83 წლამდე ვერსტზე შემოსავალი სულ მატულობდა და მატულობდა, ასე რომ 83 წელს ავიდა 10,587 მანეთამდე. მერე კი დაიწყო კლება: 84 წ. ჩამოვიდა 10,208 მანეთამდე, 85 წ. 9, 781 მანეთამდე ვერსტზე.

შემდეგ ამისა გაზეთი აცხადებს თავის გაკვირვებას იმის გამო, რომ მოგებიანი შემოსავალი თითქმის მარტო ახლად გაყვანილ გზებზე ყოფილა შარშან. ძველის გზებიდამ ძალიან მცირე ნაწილმა მოიტანა მოგება. ამ ძველ გზებში, სხვათაშორის, ფოთი-ტფილისისა და ბაქოს გზას მიუცია მოგება 45%. მომეტებულ ნაწილს ძველის გზებისას-კი ზარალის მეტი არა მიუცია-რა. გაზეთის აზრით, ასეთი საზარალო მიმართულება რუსეთის რკინის გზებისა იმისი ბრალია, რომ შემცდარს ანგარიშს ადგენენ რკინის გზათა დირექციები.

რუსეთში რკინის გზებს აკეთებდნენ უფრო იმისთვის, რომ ეზიდნათ რუსეთიდამ თავიანთი საქონელი ევროპაში. რომ ეს მართალია, ამას გვაჩვენებს რუქა ჩვენის რკინის გზებისა. ყველა დაინახავს, რომ ამ გზებს მომეტებულ ნაწილად მოუყრიათ თავი შავისა და აზოვის ზღვების ახლომახლო და მეტადრე დასავლეთ ევროპის ხმელეთ საზღვრებისაკენ. ამ ადგილებში ვხედავთ, რომ ერთსა და იმავე მხარეს მიიმართება რამდენიმე გზა, ერთმანეთზედ ცოტა დაშორებულნი.

გაზეთის აზრით, სრულიად უნდა გამოიცვალოს ასეთი მიმართულება რკინის გზების გაკეთებაში. გზები უნდა გაკეთდეს შინაგან მოთხოვნილებათათვის, გაადვილდეს ადგილიდამ ადგილზე გადატანა ნაწარმოებისა და ხალხის მიმოსვლა შუა გულ რუსეთში, თუ გვინდა, რომ გზებმა ზარალის მაგიერ მოგება მოგვიტანონო.

## უცხოეთი

**გერმანია.** ამ დღეებში გერმანიამ გაათავა თავისი მუშაობა. მოხუცებულმა იმპერატორმა მადლობა გადაუხადა რეისტაგს: ბევრი რამ გააკეთეთ თქვენა როგორც ჯარისათვის, ისე სახელმწიფო საზანისათვისაო. დიდად რომ მადლობის ღირსია ეს რეისხსტაგი: მან შეიწყნარა სამხედრო სეპტენატი და დაამტკიცა ყველა სათვინანსო პროექტები ბისმარკისა. ამ სახით რეისხსტაგის წყალობით გერმანიას ახლა ჯარიც მოემატა და საზინაცა ამ ჯარის შესანახავად. რაკი ჯარი ძლიერი გვყავსო, ფიქრობენ ზოგნი, ომს ვეღარავინ გაჰბედავსო; ჯარის ძლიერებით მშვიდობიანობას დავამყარებთო.

იმედი აქვთ, რომ ვიდრე 90 წლის იმპერატორი გერმანიისა ცოცხალია, მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. მაგრამ რა იქნება შემდეგ, როცა მოხუცს და მშვიდობის მოყვარე იმპერატორს სიკვდილი წარიტაცებს და გერმანიის კანცლერი მარტო დარჩება თავის სეპტენატითა და მზამზარეულის ჯარითა?

**სერბია.** ამ ჟამად ბევრსა ლაპარაკობენ სერბიაზე, რადგან ამ ქვეყანაში სამინისტრო გარაშანინისა გადადგა. ეს სამინისტროს, როგორც ეცოდინებათ მკითხველებს, ავსტრო-უნგრიის მომხრე იყო. დღეს ამ სამინისტროს ადგილი დაიჭირა რისტიჩის სამინისტრომ, რომელიც რუსეთის მომხრეაო. ჰგონიათ, ვითომ ბისმარკმა გამოჰკრა ასეთი სარმა ავსტრიას, რადგან იგი შეტოკდა ამას წინად და ყველა გვარი ბრძანება ბისმარკისა სიამოვნებით არ მიიღოვო. ვენის გაზეთებს მაინც არ მოსწონთ სამინისტროს ცვლილება სერბიაში. თუ სერბიამ მართლა რუსეთის მხარე დაიჭირაო, ამბობს გაზ. „Neue Freie Presse“, აღმოსავლეთის საქმე სრულიად სხვაგვრივ მოიმართებაო. სოფიიდამ მაგისქმეს სიმძიმე ბელგრადში გადმოვა და აღმოსავლეთის საქმე ავსტრიის საქმედ გადიქცევაო. აგრე რომ მოხდეს, მართლა ავსტრიის ინტერესები დაირღვევა და ავსტრია ამას არას გზით არ მოითმენს.

— „ტაიმსი“ ამბობს, რომ სამინისტროს ცვლილება სერბიაში კვლავ გუგბერობას ჩამოაგდებს ევროპის პოლიტიკაშიო. არ შეიძლება, რომ ეს გარემოება ბოლგარიის მდგომარეობასაც არ ეხებოდეს.

**ავღანისტანი.** ავღანისტანი ისეთს ადგილასა მდებარეობს, რომ ძალა-უნებური

---

მდნენ გულს სიბრალულის მწუხარებით; იმათს დანახვაზე მეც გული ამომიჯდა, უნდა გამოგიტყდეთ, და ცრემლებმა თქრიალი წამოიღეს თვალებიდამ.

ო ღმერთო, [illegible] შვენიერი ვიყავ იმ [illegible]ს, იმ სურათის მნახავი! მეტადრე იმისთვის, რომ რასაცა ვფიქრობდი, ის ამიცხადდა. ამ გულ-მომწყვლელმა და უფრო სანატრელმა სანახაობამ ისე გამალომგმირა და ისე მომიშვა გულიდამ ჰახრაკსავით მოჭირებული სევდა, რომ თითქო ჩემს დღეშიაც არ მენახნა ათასი ჭირი და ვაი-ვაგლახი. ცხოვრება, ძმაო, ომია, თავს რა არ გადამხდომია. უფალო შემიწყალე, რა ხან-გრძელი და მაგულისხმებელი იყო იმათი შემწუხარებული დაღვრემილება. მაშინ იმათ სახისთვის რომ შეგეხედნათ გონიერულის თვალით, შემდეგს ამოიკითხავდით: „ვიმდულრებით იმისთვის, რომ გლეხებიც ადამიანები ყოფილან და იმათი გულ-საკლავი თავ-გადასავალი არ ჩაფარცხულა იმათ უსამართლოდ დამჩაგვრელების ასაღრინებლადაო“.

ბოლოს დაიბადა ხალხში კითხვა: „აწ ვისმა მადლიანმა მარჯვენამ აწერა ეს საცოდაობის მოხილებაო?“ მე ვუთხარ ამა-და-ამ ღვთისგან კურთხეულმა და გლეხებისათვის გულ-შემატკივარმა კაცმა-მეთქი, და ასტყდა ერთი [illegible] სიხარულის [illegible] [illegible] და ძახილი: „ჰაი ვენაცვალეთ იმას ი გამჩენში, ადამიანობაში, მარჯვენაში, კალამში სწავლაში, თავადობაში, ღვთისნიერობაშიო“, და ვინ მოსთვლის კიდევ რა ღვთის წყალობა არ გაუგზავნეს ჩვენის სამშობლოს მასახელებელ პოეტს.

იქ ბევრისაგან ბევრი სხვა სიტყვაც ითქვა და ამასობაში სალამო ხანმაც მოატანა; ეხლა-კი ხალხმა დაშლა დააპირა და მითხრა: „ეგრე, შენი ჭირიმე, ნუ დაგვზარდები და ათასში ერთხელ ე მაგეთ ქრისტიანულ რასმე გაგვაგონებდეო“. მეც იმედი მივე და დავიშალენით.

ვაპირობ ახლა „დიმიტრი თავ-დადებული“ გადუკითხოვე (ყე-ზე-კი ნურას უკაცრავად, რა ვქნა, მეც ქიზიყში დავბადებულვარ) და მერე იმ ჩვენის გამოჩენილ პოეტ-მწერლების კალმის გასურათებულ ნაწარმოებით ალუძრა ღვთისნიერობა ღვთისნიერობისათვის, რომლებიც იმათივე მოძმეების გულიდამ გამოჭრილან ენისა და მოქმედების სინამდვილით და იმათსავე სულსა და გულს [illegible] ედებიან.

აი, ბიძაჩემო, მერე-კი დადგებიან ჩვენნი უმეცარნი მეცნიერნი და იტყვიან კიდევ იმას, რაც უთქვამთ: „ჩვენ ლიტერატურას ჯერ გზა არ გაუკვლევია, თორემ ერთი გაიკვლიოსო.. ო.. ო“!.. ახლა ერთი ჰკითხოს კაცმა: რა არი მიზეზი, რომ არ გაუკვლევია და მაშ როდის-ღა და რა გზით უნდა გაიკვლიოს? ამას რაღა თქმა უნდა, რომ ეს „როდის-ღა და რა გზით“ ჩვენს ესრედ წოდებულს ინტელიგენციაზეა დამოკიდებული და თუ ის (ინტელიგენცია) არ ეცდება ამაზე და არ მიუთითებს გზა-მიუგნებელს ხალხს მზა-მზარეულ გონების სარჩოზე და არ ჩაუგდებს იმის სიყვარულს, მაშინ ბევრი ახალი კოკა ჩაივლის წყალზე, რომ ჩვენნი „ყოვლად-ბრძენნი“ კიდევ ამ სიბერით ხავსმოკიდებულ სიტყვებს გაიძახოდნენ: „ერთი გაიკვლიოსო-ო: ო ღმერთო, и больно и смѣшно, პუშკინისა არ იყოს. ეს სწორედ ამასა ჰგავ: მზა შებმული და მოწყობილი გუთანი რომ წინ ედგას გუთნის-დედას და თითონ-კი გულ-ხელი დაეკრიფნოს და [illegible]ოდეს: ერთი მოიხნასო-ო-ო!.

ლიტერატურა მაშინ გაიკვლევს გზასა და კვალს და დამკვიდრდება ხალხში, როდესაც იმას, ასე ვსთქვათ, თავდადებული მასწავლებლები ეყოლებიან ოთხ-კუთხივ. თორემ რა დიდი გამოცანა ეს არი: თავ-დადებული მასწავლებლები რომ არა ყოფილიყვნენ, დღესაც არ იქნებოდა ჩვენამდინ მოღწეული ქრისტეს სწავლა.

ღვთის-წყალობა გქონდეთ, რომ დიდს ღვთის-წყალობას მიანიჭებდა ხალხს მადლიანი მწერლობა, მაგრამ, მაგარი ეს არის, რომ თუ ზოგიერთას ჰლეიძამთ, იმათი საქმეც ცარიელი სიტყვა და სიტყვაა და სხვა-კი არაფერი...

დიახ, დიახ, ჩემო ბატონო: ყველას ცარიელა სიტყვით უნდათ თავი გამოიჩინონ და ზოგს-კი თუმცა შნოცა აქვს, წადილიც, გულიცა სტკივა, მაგრამ ის თავის შიშშილის წამალსაც ძლივსა ჰპოულობს მუხთალ სოფელში.

განა არ მოგვეპოვებიან სოფლებში ისეთნი, რომელთაც შეუძლიანთ კეთილი მაგალითი უჩვენონ, მაგრამ კიდევ რა გამოვიდა, როდესაც ყველანი მოძმეების კეთილ-დღეობისათვის ჰქადაგებენ თავ-მოყვარების თვალთ-მაქცობით და საქმის დროს-კი ხოხბის ლაპრებივით მიიმალ-მოიმალებიან ხოლმე.

აბა სად არიან კეთილის მაგალითების მიმცემელნი. ნუ თუ განათლებული გონება იმისთვის უნდა იმყოფებოდეს ქვეყანაზე, რომ ცოდვიყლაპია ვეშპის რესკონტროსავით მარტო თავის შესავალ-გასავალს ემსახურებოდეს?

განა ჩვენს ხალხს სურვილი არა აქვს მოსმენისა, თუ-კი ვინმე რასმე წაუკითხავს? განა ან აგეთი გაუგებარი, აჯამი და ღარიბია ფანტაზიით ჩვენი გლეხობა, რომ თავიანთ ცხოვრებიდამ გადაღებული სურათები ვერ იცნოს და ვერ მიუხვდეს აზრს? განა ჩვენს ხალხში ცოტანი არიან დღეს წერა-კითხვის მცოდნე დედაკაცები, ქალები, კაცები და ბიჭები? მაგრამ კიდევ რა გამოვიდა, როდესაც წყალი სწყურიანთ და წყლის გზა არ იციან, და არც ჩამგონებელი პატრონი ჰყავთ, რომ ურჩიოს: მოდით, ჩემო კარგნო, ნუ გიყვართ ფუჭის მითქმა-მოთქმით

რად ორს დიდს სახელმწიფოს თვალი ვერ მოუშორებია ამ ქვეყნისათვის. ორივეს უნდა, რომ ეს ქვეყანა მისი მომხრე იყოს. დღეს ავღანისტანი უფრო ინგლისის მომხრეა, რადგან დღევანდელი მისი ხანი, აბდურახმანი ინგლისელებს თანაუგრძნობს, იღებს მათგან ყოველ-წლივ დიდს შემწეობას, თუ ფულად და თუ თოფ-იარაღით. ინგლისელები ჰშველიან ხანს, რომ ჯარი კარგად მოაწყოს, გაწვრთნოს სალაშქროდ, შეაიარაღოს საუკეთესო თოფებითა, გაამაგროს ქვეყანა და დაიცვა მტრის თავ-დასხმისაგან. ინგლისელები ასე იმიტომ იქცევიან, რომ ეშინიანთ რუსეთმა არ დაიპყრას ეს ქვეყანა და მერე ჩვენს დიდს სამფლობელოს ინდოეთს არ დაუწყოს მუქარაო. უოველთვის, როცა-კი რუსეთი იძულებული ყოფილა წინ წაიწიოს ავღანისტანისკენ, ინგლისში დიდი აყალ-მაყალი ატეხილა. ასე იყო, მაგალითად, 1885 წელს, როცა მდ. კუშკასთან მოხდა ბრძოლა რუსეთის ჯარსა და ავღანთა შორის. ამ დღეებში-კა, როცა რუსეთმა დაიჭირა კერკის სახანო, ინგლისში საიმისოდ დიდი დავიდარაბა და აყალ-მაყალი არ ატეხილა. ომის მსურველნი ინგლისში მალიან ჯავრობენ, რომ ინგლისის მთავრობა ასე გულ-გრილად იქცევა და არავითარს ღონეს არ ემებს ავღანისტანის დასაფარავად. უფრო მრიელა ჯავრობს ბ-ნი ვამბერი, ტომით მადიარი, და ურჩევს ინგლისელებს, რომ არა დასთმოთ ავღანისტანის გამოვლო. ამ აზრს ქადაგობს ეს სწავლული ერთსა და იმავე დროს სამს გაზეთში: „ტაიმსში", „პეშტის ლლოიდში" და „ალგემეინე ცეიტუნგში". სწავლული ამცნევს ყველას; ინგლისელებს, მადიარებს და გერმანელებს, რომ თუ ავღანისტანის საქმეს ყური მოუყრუეთ, მალიან ცუდი იქმნებაო. კერკის დაჭერას ის მოჰყვება, რომ ავღანისტანი გაჰქრება და მერე მშვიდობით ბრიტანიის მლიერება აზიაშიო. ამიტომ რაც შეიძლება მალე უნდა იქმნას დაწყობილი ომი, მალე უნდა მოვიფშვნიტოთ თვალები და გამოვერკვიოთ; თორემ თუ დაგვიანდა, მერე აღარა გაწყობა-რაო.

— რეიტერის სააგენტოს აუწყებენ პეტერბურგიდამ: პოლკოვნიკი ლესსარი დაბრუნდა პეტერბურგს. ინგლისისა და რუსეთის კომისარს შუა კვლავ დაიწყო მოლაპარაკება ავღანისტანისა და რუსეთის საზღვრების გამიჯვნის თაობაზე. რიჯვეიც მალე მოვა პეტერბურგსაო.

## გასართობი

**ახირებული თავის შექცევა და შემდეგ საჩივარი.** ყაზანში, 31 მაისს, ყავახანაში „Левушка" შესულა ცოტადი შეზარხოშებული მეპურე თევდორე აკულოვი და უნახავს რა ამავე ყავახანაში მთვრალი ქარგლები ივანე კუკარინი და პეტრე მოსკალოვი, ჯერ არაფზედ დაუპატიჟნია და შემდეგ უთქვამს, რომ სამს მანათს მოგცემთ, თუ თავებს სპარსულად გადიპარსავთო. მთვრალი ქარგლები დათანხმებულან და ამასთან კუკარინს გამოუცხადებია, რომ მე მეტი ფული უნდა მერგოს ჩემს ამხანაგზე სამს მანათში, რადგან თავის გარდა წვერის მოპარსვაც დამჭირდებაო. გადაუწყვეტიათ თუ არა ეს საქმე და პირობებზედაც დასთანხმებიან ერთმანერთს, ყველანი მოწმებითურთ გუტმანის აბანოში წასულან და იქ დალაქს სულ ათის წუთის განმავალობაში მათთვის სპარსულად გადუპარსავს თავი. მეორე დღეს რომ გამოჰფხიზლებიათ ქარგლებს და სარკეში შეუხედნიათ, შეშინებიათ, ამასთან ყველას დასიცილი დაუწყვია მათთვის და ამის გამო მოტყუებულ ქარგლებს გადაუწყვეტიათ, ვუჩივლოთ აკულოვს ამისთანა შეურაცხყოფისათვისაო. დაუჭერიათ ვილაც „აბლაკატი", ექვს შაურად არზა დაუწერინებიათ და საჩივარი შეუტანიათ სასამართლოში.

**

**დაცვა ხელ-ნაწერებისა ფოტოგრაფიის საშუალებით.** ერთს ნიუ-იორკის წიგნების გამსყიდველს განუზრახავს დიდის ენციკლოპედიურის თხზულების გამოცემა და უფიქრნია, უნდა დავიცვა და დავიფარო როგორმე ცეცხლისგან ან სხვა რაიმე უბედურობისაგან ის თხზულებანი, რომელსაც გამოვცემო. ცეცხლის დამზღვეველ საზოგადოებაში რომ დაეზღვია და ცეცხლისაგან შეეკრა ეს თხზულებანი, მაშინ მათს საფასურს-კი მიიღებდა, მაგრამ თხზულებანი მაინც-და-მაინც დაეკარგებოდა და აი ამის ასაცილებლად წიგნების-გამსყიდველს ყველა ხელ-ნაწერები ფოტოგრაფიით გადუღებინებია სულ პატარა ზომაზედ, ასე რომ ყველა ხელ-ნაწერების ტარება ფოტოგრაფიით გადაღებულისა ჯიბეში შეიძლება თურმე. ფოტოგრაფიით რამდენიმე ეგზემპლიარი გადუღებინებია და რამდენსამე ადგილას დაურიგებია, რომ თუ ერთს ადგილას დაიკარგება, მეორე ადგილას მაინც იქმნება შენახულიო.

# დეპეშა

### 13 ივნისი

**სარატოვი.** სარატოვ-ციმბირის ბანკის თაობაზედ მოწმეთა გამოკითხვა გათავდა. ექსპერტების გადასაწყვეტად დადგენილ იქმნა 82 საკითხავი.

**სამარა.** ოლქის სასამართლომ დღეს გადუწყვიტა მაზრის ერობის გამგეობის ბუჰგალტერს ნაზაროვს, რომელსაც 2,000 მან. დაუხარჯავს საერო ფოსტის ფულიდგან, ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ტუსაღების როტაში ყოფნა სამს წელიწადს.

**ვენა.** აქ მოვიდა სერბიის კოროლი; სერბიის სახელმწიფო დროებით რისტიჩმა უნდა განაგოს.

**პარიჟი.** გუშინ შეკრბნენ მამულთ-მოყვარე საზოგადოების წევრნი და დიდად აღშფოთებულნი იყვნენ ლეიპციგის სასამართლოს მიერ ელზასელების დასჯის გამო. სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა დერულედმაც. კრების გათავების დროს ხალხი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს ბულანჟესა და დერულედსაო!"

### 14 ივნისი

**ეკატერინბურგი.** გუშინ აქ მობრძანდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე შვილით და ამალით. მის უმაღლესობას დაუხვდნენ მმართებლობის და ქალაქის წარმომადგენელნი და გამოფენის კომიტეტი. რკინის-გზის სადგურთან დიდ-ძალი მკვიდრნი დახვდნენ „ურა"-ს ძახილით. აქედგან მათი უმაღლესობა წავიდა სობოროში და სობოროდგან მათთვის ცალკედ მომზადებულს სადგომში ქალაქის თავის სახლში. გამოფენის სახლი და ყველა სხვა ქალაქის სახლებიც მშვენივრად არის მორთული ბაირაღებითა და ყვავილებითა.

**სოფია.** დიდი საერო კრება მოწვეულ იქმნება მთავრის ამოსარჩევად და ზოგიერთა სხვა საკითხავთა განსახილველად. ორშაბათს რეგენტები აპირებენ წასვლას ტირნოვოში, სადაც მიწვეულია დიდი საერო კრებაცაო.

**ლონდონი.** დედოფალმა რესკრიპტით მადლობა გამოუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრს იმის გამო, რომ ინგლისის ერმა თვისი მხურვალე სიყვარული და ერთგულება დამიმტკიცა.

**პარიჟი.** პალატამ დიდის ხმის უმეტესობით, 384 ხმით წინაალმდეგ 71-სა, გადასწყვიტა, რომ არავითარიმე შელავათი არ უნდა მიეცეთ სემინარიის მოწაფეებსა და მასწავლებელთა სამხედრო ბეგრის საქმეშიო. ამავე აზრისანი იყვნენ მინისტრ-პრეზიდენტი და სამხედრო მინისტრი.

### 15 ივნისი

**ვენა.** სერბიის მეფემ ინახულა გრაფი კალნოკი და ორი საათი ჰქონდათ ლაპარაკი. საღამოს მეფის პატივისაცემად სადილი იყო გამართული სასახლეში. მეფე გლეიხენბერგის წყლებზე არ წავა და პარასკევს ბელგრადში დაბრუნდება.

**პეტერბურგის ბირჟა, 12-ს ივნისს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 13 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 177½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 267 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 245½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | 98½ | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98 » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | 83¾ | — » | — » |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

**თიბათვე 30 დღით არის**

**16 დღე ხამშაბათი.** წმ. ტიხონ საკვირველ-მოქმედ. სომეხ. წმ. კონსტანტინე მეფისა, დედისა მის ელენასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38. მთვარე 8 დღისაა.

**17 დღე ოთხშაბათი.** წმ. მანუილ, საველ და ისმაილისა. მუსულ. ლეილატუნკადრი. მე-8 რიცხვი შევალის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38.

**18 დღე ხუთშაბათი** მოწ. ლეონტისა, იპატისა, და თეოდულესი. სომეხ. წმ. თეოდიტონ, თალილა, 7 ქალწულთა. მე-9 რიცხვი შევალის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 8—38. მთვარე 10 დღისაა.

**19 დღე პარასკევი.** მოციქ. იუდასი, ძმისა უფლისა. კათოლ. ჰერვაზიასი და პროტაზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ მე-10 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 11 დღისაა.

**20 დღე შაბათი.** წმ. მეთოდესი და ათანასესი. კათოლ. სელვერიასი და ფლორენტინასი. სომეხ. პოვნა ნაწილთა წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 12 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ლის ხარისხისა . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1 ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | » | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი. . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

---

გართობა, აი მე ქრისტიანულს რასმე წაგიკითხავთ და ამით შეგაქცევთო. ან: გოგო-ბიჭების მოჩმახულ შაირებსა და „ლექსებს"-კი ნუ ჰკითხულობთ, აი ესა-და-ეს სასარგებლო წიგნი წაიკითხეთო.

ეს, რასაკვირველია, უფრო „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" ვალია, რომ მან იყოლიოს ყველგან წიგნებისა და კეთილის სიტყვის მომფენნი, მაგრამ საიდამ თუ-კი ის ჩვენის საზოგადოების თანა-გრძნობასა და წყალობას მოკლებული იქნება: ნივთიერად თუ სიტყვიერად.

«ქუდი დასვი და სამართალი ქენო.» მართლაც და, აბა ერთი ჩავიხედოთ ჩვენს სინიდისში და ვთქვათ ჩვენთვის: განა იმისას-კი დიდ მადლობელს არ უნდა ვიყვნეთ, რაც „წერა-კითხვის საზოგადოებას" ჩვენს ქვეყანაზე ღვაწლი დაუდვია და სდებს კიდეც; მერე საიდამ, ჩვენ იმისთვის რა როტშილდის სიმდიდრე ჩაგვიბარებია, თუ არა თავის საკუთარის ჯიბიდამ? მაშ ღმერთმა გაუმარჯოთ იმათ, ვინც გამარჯვების ღირსნი იყვნენ.

დიახ დაუარსებელს მაშინ დააარსებს „წერა-კითხვის საზოგადოება", როდესაც ჩვენც შევეწევით ჩვენის შეძლებისადა გვარად,

ვისაც ესენი არა სწამს, იმას კიდევ თითონ დონჯი შემოუყრია და სხვებს უკიჟინებს ნაცარ-ქექიულის ბაქი-ბუქით, ზოგი მიუხედ-მოუხედავად დღედა-ღამ თავის უძირო ჯიბეს ჩასტირის და გუშინდელს გამოჩეკილებს კიდევ ხომ ესა სჩრიათ პირში: „მე ვარ, მე ვარ რაცა ვარო" და რა არი, ის კი ალლახმა უწყის. ზოგს აულია ყველას მონად ნაქცევი კალამი და ბაბალესა და დონ-ჟუანის რომანტიულ თავ-გადასავალს მოგვითხრობს მიკიბმოკიბულის და გაჰიანურებულის სიტყვით. წინა-უკანა-სიტყვაობაში-კი გარწმუნებენ ის უქმის, უნიჭო, წინდაუხედავის და დაობებულის სიტყვის გუდები: აი, ბატონებო, ქმნილება უკვდავ ფილოსოფიურს სიმართლეზე დამყარებული, წმინდა ფსიხიკურის ანალიზით შეხამებული, იუმორის ნიშანწყალში დაფერილის სენტენციებით აჭრელებული, ფოტოგრაფიულის კალმით გასურათ-ხატებული, მშვენიერის, მიმზიდავის სიტყვიერებით აშენებული, ბუნების ბეჭდის დასმით შემოწმებული და მაღალის იდეებით დიდებულიო, აი მოკვდეს მანუკა და იმისი ცით მონაბერნი საიდუმლონი!..

ამაზე მომეტებული ცეცხლი-კი ის გახლავსთ, რომ ზოგი პროზად წერასაც აღარა კადრულობს და ფუჭის, ულულუგის და სხვის აზრში დაფერილის სიტყვების ჩლახი-ჩლუხითა, რახი-რუხითა და დამახინჯებულის რითმის თანთქელა-ხუხითა გულს გიწყალებთ. ზოგს კუდ-ბაწარა ოსანას ჩადრში ამოუყვია თავი მაჩვიჟით და ილანძღება და ითრივება, რაც შეუძლიან.

ღმერთო მართალო, რაც ჩვენ ლიტერატურაში ნაგავ-ნუგავია, შერცხვენილი ვიყო თუ ან ავგიასის თავლაში იქნებოდა იმოდენა უწმინდურება. ნეტა მითხრა, რა ჭამისთვის და ვისთვის ამზადებენ ჩვენი ფშუტა-ბრძენნი იმ უმართებულო მითქმა-მოთქმას და წარამარა სიტყვების რახა-რუხს? საქმე მართებული და სიბრძნით შენელებული სიტყვაა, რო მან უმეცარიც გაამეცნიეროს... თორემ უსარგებლო ლაყბობა და მითქმა-მოთქმა ხომ უმეცარისავე ხელობაა; მაგრამ ქარაფშუტას ამქარი გუდა-ფშუტაა და ქარიშხალი-კი ორთავეს გამანიავწყალებელია. ეჰ, მახლას!

სათქმელი მოკლედ უნდა ითქვას, თუ თქმადა ღირს. რაც ადამიანს დროს აკარგვინებს და არავის გულსა და სულსკი არ ეცხობა, ის არც უნდა ითქვას და არც გაკეთდეს, იმისთვის რომ რაც უსარგებლოა, ის სიმართლის წინაშე მკვდარია და ჭკუა-გონების მაზნევარია. განა ადამიანს სააჭიო-ბაჭიო ფუქსავატობაში უნდა აკარგვინებდნენ დროს?

მართალია, ისეთი მჴლე და უშვერლებელი თხზულება არ მოიპოვება, რომ მასში ერთი გამარგალიტებული სიტყვა მაინც არ იპოებოდეს, მაგრამ ზღვაში ჩავარდნილ მარგალიტს აღარ ეძებენ. წარა-მარა სიტყვის გუდა იმასა ჰქვიან, ვისაც არ შეუძლიან ათის სიტყვით დასკვნილი აზრი, თუ ამბილოგია სამის სიტყვით გამოათეთროს და არც იცის, თუ რა დიდი და დაუფასებელი ღირსებაა ეს მწერლისათვის.

როგორც ეს ყველასთვის ცხადია, რომ ლიტერატურა ნამდვილი სარკე უნდა იყოს, რომელშიაც ბუნებითი თუ არა-ბუნებითი ცხოვრება ნათლად უნდა სჩანდეს, ამასთანავე მას ორგემოვან-ფეროვანი წყაროც უნდა გამოსჩქეფდეს: ერთი მდაბიო ერისთვის და მეორე ინტელიგენციისათვის, რომელნიც ისე უტყუარის წამალივით უნდა უდგებოდნენ ორთავეს გულსა, სულსა და ენას, რომ მადლიანები ანეტარდებოდნენ, სნეულნი იკურნებოდნენ და ულვთონი ღვთისნიერდებოდნენ, და არა თუ ფუჭის სიტყვებისა და ჭორის გუდა იყოს.

იგეთი უმეცარი ადამიანი არ მოიპოვება ქვეყანაზე, რომ ინსტინქტი მაინც არ მიასწრაფებდეს რომელსამე ცოდნისაკენ, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ, ცოდნის ბადლად, უცოდინრობით უცოდინრობას აკვდება; რა თქმა უნდა, რომ ამის თავდაპირველი მიზეზი-კი ადამიანისავე სირეგვნეა, რომლის არა-წმინდა სიტყვა და მოქმედება არა-წმინდას აჩენს, როგორც მძორი მატლს. რასაკვირველია, რომ აქაც ადამიანიეა დამნაშავე, თორემ როცა მძორი მიწაში იქნება ღრმად ჩაფლული, მაშინ აღარც იმის ბახალები გამოჩნდებიან ზეზე და აღარც ჰაერი მოიწამლება...

ეხლა კი დროა ვიკმაროთ, ბიძია, თორემ ორიოდე სიტყვა საათიოდეთ გაგვიხდება. ამისთანა «რამე-რუმეების» შესახებ სხვა დროსაც მოვილაპარაკებთ, უფრო დაღაგებით, გულიანად და საფუძვლიანად.

დ. მაჩხანელი

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ ი ლ ი თ | | | | | | | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | შორაპანი | 3 | 17 | 3 | 20 |
| შორაპანი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | |
| ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ ი ლ ი თ | | | | | | | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 4 | 55 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | | | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


დაიბეჭდა და იყიდება
გრიგოლ ჩარკვიანის ქართულს წიგნის მაღაზიაში

ვეფხვის-ტყაოსანი

პოემა შოთა რუსთაველისა, ავტორის სურათით. ფასი 1 მანათი

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოვის მეფაბრიკეთ ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქარიანცის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატ. მწეველთ და თუთუნის გამყიდველთ, რომ ამ წლის 15 თებერვლიდამ ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაყიდვა; იდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა, იმით გარდა მოხმარებისა, გრძელი და სასიამოვნოდ [illegible], რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც იყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და საზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გამართული [illegible] მაღაზია და გვსურს გავაცნობოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი, უმაღლესის ღირსების თუთუნი, პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, იმედი გვაქვს [illegible] ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები. [illegible]

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები (25—21)

დაიბეჭდა ახალი სასწავლო წიგნი „მოლაღური“, ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

იყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კერძო პირებთან. (10—10)

იყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, ქუთაისში ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან, დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Вѣтру I Тифлисъ. Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მეჯვარეზე

II დედ ზალუში

ფასი ორი შაური.

იყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. ოზურგეთში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუბერაძესთან. [illegible] დამპალაშვილთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул. Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმობა შაურად.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთავისა | 1 | » |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთავისა | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთავისა | » | 25 |
| განკიცხული, მახსუარაძისა | » | 50 |
| ცაკო, მისივე | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე | » | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულისა | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, იგ. რასტომაშვილისა | » | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი | » | 15 |
| ზაზუნა, ჟიულის რედქვიცი | » | 25 |
| ხატაური, ასისტასა თუმანიშვილისა | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჟღენტისა | » | 5 |
| არსენას ლექსი | » | 5 |
| ბანქველიანი ფუტკარი, თარგმანი | » | 15 |
| ქართული ანდაზები | » | 10 |
| თავად-სახიანოს წიგნი, მ. ჭიჭინაძისა | » | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა | » | 5 |
| ალი. ნ. ლომოურისა | » | 30 |
| დრო არის საქმეს შევუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | » | 5 |
| მომღერალი, ილ. გუნიასი | » | 5 |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | » | 30 |

## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მეორე ნაწილისა:

ქართველი მწერლები

II

დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულ ლექსებსა აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—8)

ნაფიცი ვექილი

ა. ს. ფრენკელი

გადავიდა კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, მაკკრის სახლში. (3—1)

მეური სიტყვა

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილი „ივერიის“ რედაქციის მიერ, იყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდისყურს და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. ზედგენიძეების ჩითის მაღაზიაში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.


Дозв. цен. Тиф. 13 іюня, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე